სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 1072/06

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,პიქსისი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ პაპაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, გრავიტაციის კვლევის გეოფიზიკური ხელსაწყოსა და ელექტრომექანიკური ხელსაწყოს შესყიდვა. CPV 38240000 და 31720000

2.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება და აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	Proseq 2 Exponenttial transducer 54 kHz -ულტრაბგერითი ექსპონენციალური გადამწოდი 54 კილოჰერცი სიხშირის	1	6000.00	6000.00
2	Dickson ES120- მონაცემთა ჩამწერი Voltage Data Logger 2 არხი ძაბვის (0,,,5ვ) ან/და დენის (0,,,20მა), 32000 ანათვალის მეხსიერება, ანათვლების აღების ინტერვალი: 10წმ-დან 24 სთ-მდე	2	1100.00	1100.00
3	Dickson A015 –DicksonWare პროგრამული უზრუნველყოფა მიმდევრობითი ინტერფეისის კაბელით	1	390.00	390.00
4	Dickson A170 – ადაპტერი USB-RS-232	1	300.00	300.00
5	Dickson A713 -წყალგაუმტარი ჩანთა ჩამწერისათვის	1	230.00	230.00
6	ინსტალაცია, აპარატურის გამართვა	1	600.00	600.00
	სულ ჯამური ღირებულება:			9 720.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 9 720.00 (ცხრაათას შვიდასოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფი/პირი.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას შემსყიდველი განახორციელებს: შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერის, სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების ჯგუფის/პირის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№1., მ. ალექსიძის ქ.#1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღე

6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თსუ მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით,

7.3. ხელშეკრულების ღირებულების 100%-ის გადახდა განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორებით, რისთვისაც მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნას, წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის, საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. წინასწარი ანგარიშსწორება იწარმოებს საბანკო გარანტიის წარმოდგენის დღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადას. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლისთვის საბანკო გარანტიის ოდენობა ნახევრდება;

7.4. წინასწარ გადახდილი თანხის დაფარვა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების დასკვნის შესაბამისად.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინასწარ გადახდილი თანხის შესაბამისი ღირებულების შესყიდვის ობიექტის მოწოდებას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს საავანსო საბანკო გარანტიით გათვალისწინებული შესაბამისი თანხის დაბრუნების მოთხოვნით;

7.6. მიმწოდებელს საბანკო გარანტია დაუბრუნდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების დადებითი დასკვნისა და შესაბამისი ანგარიშფაქტურის და/ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7.7. თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.

ბ) თუ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ავანსად გადარიცხული თანხა მეტი იქნება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებაზე, და მიმწოდებელმა შემსყიდველს უკან არ დაუბრუნა ზედმეტად გადახდილი თანხა გონივრულ ვადაში (5 სამუშაო დღე).

7.8. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს უკან დაუბრუნოს გარანტია შემდეგ შემთხვევებში:

ა) გარანტიის მოქმედების ვადის გასვლისთანავე;

ბ) მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისასა;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას

დ) კანომდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები

12.1 ხელშეკრულების 2,2 პუნქტით მოთხოვნილ შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია 1 წელი. საქონლის ინსპექტირების პერიოდში, ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხაჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში შეცვალოს საქონელი ახლით;

12.2 ექსპლუატაციის პროცესში, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს". „მიმწოდებელი" მისი წარმომადგენლის მიერ საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას.

12.3 საჭიროების შემთხვევაში ორი სამუშაო დღის ვადაში დგება დეფექტური აქტი, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. სერვის მომსახურება განხორციელდება არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში), წინააღმდეგ შემთხვევაში დეფექტური აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 01 მაისამდე. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმ ნაკისრი ვალდებულებეის ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1
რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური
მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

მიმწოდებელი
შპს „პიქსისი"
მისამართი: ქ.თბილისი; საბურთალოს ქ.40კ.2.54
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა N GE 72 BG 0000 0009 0084 2200
ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 205214542

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ. ოვსიანიკოვა/

დირექტორი:

/მ. ბაპაშვილი/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

21 დეკემბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან შპს „პიქსისი"

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნ. ოვსიანიკოვა

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ი. ყაღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ა. კუკულავა

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი ს. სანაძე

შესყიდვების მთ. სპეციალისტი ლ. კოპალეიშვილი